ხელშეკრულება №117
მომსახურების შესყიდვების შესახებ

ქ. გორი 02 აგვისტო 2017 წელი

ერთის მხრივ, ა(ა)იპ „ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის ფეხბურთის კლუბი გორი“ (ს/ნ: 417874973) (შემდგომში „შემსყიდველი”), წარმოდგენილი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი გია ისიანის სახით და მეორეს მხრივ, შპს „თეგეტა მოტორსი” (ს/ნ: 202177205), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის თემურ კოხოძის მინდობილი პირის (მინდობილობა №0445/ა; გაცემული 02.04.2017წ), გორის ფილიალის დირექტორის ვახტანგ ზივზივაძის სახით, (შემდგომში „მიმწოდებელი”) ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, მათ შორის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას სახელმწიფო შესყიდვების შესახებ შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია ა(ა)იპ „ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის ფეხბურთის კლუბი გორი“ -ს ბალანსზე რიცხული ავტომანქანის „MERSEDES BENZ SPRINTER“ სახელმწიფო ნომრით DIL 002 ტექნიკური მომსახურების გაწევა (CPVკოდი 50110000) ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით. კერძოდ:

#	დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ფასი	სულ ფასი
1	საწვავის სისტემის ელ დიაგნოსტიკა		1		35
2	მფრქვევანას მ/დ		4		200
3	მფრქვევანას დ/ა		4		200
4	მაღალი წნევის რეგულატორის მ/დ		1		30
5	გამფრქვევის სარქველი F00VC01051	ც	4	99	396
6	გამფრქვევი DSLA154P1320	ც	4	60	240
7	გამფრქვევის ქანჩი F00VC14012	ც	4	24	96
8	მფრქვევანას ს/ვ COMMON RAIL	ც	4	6	24
9	ფრქვევანას სპილ.რგოლი 293.140	ც	4	3.40	13.60
10	წნევის მარეგულირებ. სარქველი 0281002241	ც	1	338	338
სულ		ც			1572.60

1.2. დაფინანსების წყარო - საკუთარი სახსრები, 2017 წლის სახსრები.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 1572.60 (ერთიათასხუთასსამოცდათორმეტი ლარი და 60 თეთრი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება მომსახურების გაწევისა და წინამდებარე ხელშეკრულების 4.2 და 5.3 პუნქტებში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შემსყიდველის მხრიდან მიღება - ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ა(ა)იპ ,,ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის ფეხბურთის კლუბი გორი"-ს მძღოლი გიორგი მინდიაშვილი.

4.2 მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5. მომსახურების მიწოდების ადგილი და ვადა

5.1. მომსახურების გაწევის ადგილია – ქ. თბილისი დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12კმ. №5.

5.2. მომსახურების გაწევა განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

5.3. მომსახურების მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმდევი დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (სასაქონლო ზედნადები/საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა).

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს მომსახურება ჯეროვნად, კეთილსინდისიერად და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

7.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

8.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

8.5. მხარე ვალდებულია 8.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

8.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. დაუძლეველი ძალა

9.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით (წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები). აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2017 წლის 30 სექტემბრამდე.

12. რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

ა(ა)იპ ,,ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის
მერიის ფეხბურთის კლუბი გორი“
ს/ნ: 417874973
მისამართი ქ.გორი გურამიშვილის ქ.5.
ბანკი სახელმწიფო ხაზინა
კოდი – TRESGE22

დირექტორის მ/შ------------------გ.ისიანი

„მიმწოდებელი“
შპს „თეგეტა მოტორსი"
ს/ნ: 202177205

ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12კმ. №5
ს.ს „თიბისი ბანკი“; ბ/კ TBCBGE22
ა/ა: GE80TB0600000024467853

გენერალური დირექტორის მინდობილი პირი
გორის ფილიალის დირექტორი

______________________ ვახტანგ ზივზივაძე

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ.გორი 02 აგვისტო 2017 წელი

,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად ხელის მოწერით ვადასტურებთ, რომ ა(ა)იპ ,,ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის ფეხბურთის კლუბი გორი"-ს მიერ 2017 წლის 2 აგვისტოს დადებული N117 ხელშეკრულება შპს ,,თეგეტა მოტორს"-თან გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

დირექტორის

მოვალეობის შემსრულებელი გია ისიანი

შესყიდვების მენეჯერი სვეტლანა ზაუტაშვილი